დანართი №2

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა

და

შპს „კლასიკ დეველოპმენტს“
შორის

თბილისი

2019 წელი

წარმოდგენილი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდის გადავადების თაობაზე შეთანხმება (შემდგომში ,,შეთანხმება“) დადებულია 2019 წლის 01 თებერვალს (,,ძალაში შესვლის თარიღი”)

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის სახით,

მეორეს მხრივ, შპს „კლასიკ დეველოპმენტი“ (ს/ნ: 402020184) (შემდგომში „შპს“), წარმოდგენილი დირექტორის მილენა სარულიძის (პ/ნ 19001024074) სახით,

მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის №19.88.119 განკარგულების შესაბამისად დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების მიზანი

შეთანხმების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფ. კახოვსკი) №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.008.086), მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების პროცესების ხელშეწყობა.

2. შეთანხმების საგანი და მოქმედების სფერო

შეთანხმების საგანია „ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფ. კახოვსკის) №8-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 აგვისტოს №3784 ბრძანებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის (კ–2) კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2019 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით განწილვადება წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის №19.88.119 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული გრაფიკით.

3. მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

3.1. შეთანხმების განხორციელების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მთავრობა უზრუნველყოფს:

შპს-ს მიერ „ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფ. კახოვსკის) №8-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 აგვისტოს №3784 ბრძანებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის (კ–2) კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის განწილვადებას 2019 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. შეთანხმების განხორციელების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შპს უზრუნველყოფს:

შენობა–ნაგებობის მშენებლობის დასრულებასა და არაუგვიანეს 2020 წლის 01 იანვრისა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენას და კისრულობს ვალდებულებას, რომ შენობა-ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. შეთანხმების გაუქმება

შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმება გაუქმდება და შპს-ს დაეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს მოსაკრებელი.

5. ცვლილებების და დამატებების შეტანა

5.1. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.2. შეთანხმება შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

ხელმოწერილია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



ხელმოწერილია:

შპს „კლასიკ დეველოპმენტის“ (ს/ნ: 402020184) დირექტორი

მილენა სარულიძე

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

**განკარგულება - N 19.88.119**
**30 / იანვარი / 2019 წ.**

**ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფილი კახოვსკი) №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.008.086) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის განწილვადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 11 იანვრის №10/0119011691-01, 21 იანვრის №10/01190212806-01 და 23 იანვრის №10/01190232261-01 განცხადებებით მიმართა შპს „კლასიკ დეველოპმენტმა" (ს/კ 402020184) და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფილი კახოვსკი) №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.008.086) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის განწილვადება. თავის მხრივ, განმცხადებელი იღებს ვალდებულებას, აღნიშნული შეთანხმების დადების სანაცვლოდ, უზრუნველყოფილ იქნეს ობიექტის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფილი კახოვსკი) №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.008.086), მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „კლასიკ დეველოპმენტთან" (ს/კ 402020184) „ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფილი კახოვსკის) №8-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 აგვისტოს №3784 ბრძანებით სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გაცემისათვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2019 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით განწილვადება და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის $17^2$ მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-10 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. „ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფილი კახოვსკის) №8-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 აგვისტოს №3784 ბრძანებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდა განწილვადდეს 2019 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, ამ განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად.

2. დადებულ იქნეს შპს „კლასიკ დეველოპმენტთან" (ს/კ 402020184) შეთანხმება (დანართი 2) შემდეგი პირობებით:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უზრუნველყოფს შპს „კლასიკ დეველოპმენტის“ (ს/კ 402020184) მიერ „ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფილი კახოვსკის) №8-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 აგვისტოს №3784 ბრძანებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტის მოსაკრებლის განწილვადებას, ხოლო შეთანხმების განხორციელების მიზნით, შპს „კლასიკ დეველოპმენტმა“ (ს/კ 402020184) უნდა უზრუნველყოს, არაუგვიანეს 2020 წლის 1 იანვრისა, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება;

ბ) შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შეთანხმება გაუქმდება შპს „კლასიკ დეველოპმენტს“ (ს/კ 402020184) დაეკისრება ვალდებულება, შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს „ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფილი კახოვსკის) №8-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 აგვისტოს №3784 ბრძანებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტის მოსაკრებელი.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

---

**წერილი № 2149839**

გაცემის თარიღი: 11/09/2015 გაცნობის თარიღი: 14/09/2015

განცხადების ნომერი: AR1333558

შემოსვლის თარიღი: 09/08/2015

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.13.06.008.078
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა კედია (ყოფ.კახოვსკი), N8
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1523.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "მეგობრობა" (201944076)

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ჟენია ზაქარაშვილი პ/ნ 01030020597
- მისამართი: თბილისი ნ.ჩხეიძის ქ. N 30

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

## წერილი

თქვენი 09/08/2015 AR1333558 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი განიხილა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2015 წლის 13 აგვისტოს #37 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და კოეფიციენტები განისაზღვრა კ1=0,6-ით და კ2=4,2-ით.

დანართის სახით გიგზავნით ზემოთაღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს და თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 აგვისტოს #3784 ბრძანების დამოწმებულ ასლს.

---

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

PDF ფორმატში ჩამოტვირთვა

# ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი №37

13 აგვისტო 2015 წელი.

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების დაწყების დრო:

13:00, დამთავრების დრო: 22:30.

საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი ქუმსიშვილი

საბჭოს აღმასრულებელი

მდივანი ნინო გვენცაძე

კომისიის წევრები: ნინო ღოღობერიძე, დიმიტრი ქუმსიშვილი, მალხაზ მჭედლიშვილი, გოჩა ბაბუნაშვილი, გიორგი სულაბერიძე, ნინო გვენცაძე, ირაკლი ჩირაძე, ირაკლი მურღულია.

მოწვეულები: ნინო ხოსრუაშვილი, თომა ჩიტაშვილი, ირაკლი ძაგანია, ირაკლი ვეფხვაძე, სალომე ჯანიაშვილი, მამუკა ჩოქურუა, ვლადიმერ აბრამიშვილი, ალექსანდრე კაციტაძე, ანრი კაციტაძე, გოჩა წულაძე, ელგუჯა პატაშური, ლევან ხუხაშვილი, მედეა არდაშელია, დავით გოქაძე, მანანა ქართველიშვილი, მარინე ელიზბარაშვილი, დიანა რეხვიაშვილი, რამაზ ხვედელიძე, სოფიო პაქსაშვილი, რაჯმიშ ნიშრა, რეზო ნოდია, დიანა დანელია, ნელი ქისტაური, თემურ სუჯაშვილი, ალექსანდრე ახალაია, დავით რაზმაძე, ანდრო რთველაძე, თემური მალანია, გიორგი ლომიძე, გიორგი გამყრელიძე, ალექსი სესიაშვილი, ზურაბ ფავლენიშვილი, მარიამ პაპუკაშვილი, კახაბერ არაბიძე, მაცაცო ჯინჭარაშვილი, დიანა რეხვიაშვილი, სოლომონ მაღნარაძე, ლევან ნაზღაიძე, შოთა ასათიანი, გიგი შუკაკიძე, თორნიკე აბესაძე, დავით აბესაძე, მაყვალა თანდილაშვილი, ნინო ბალუაშვილი, მამუკა მარტყოფლიშვილი, ეკატერინე ივანოვა, ნანული ბიბილური, ნატო ალფაიძე, ალექსანდრე ჯობავა, მარინე სოხაშვილი, ნანა ალანია, მანანა თევდორაშვილი, ელენე გოგებაშვილი, ავთანდილ პაკელიანი, პაატა პავლიაშვილი, ალექსანდრე კვირკველია, ვასილ ჯალაღონია, ნუგზარ დვალიშვილი,

საქმის წარმოების განყოფილება №3

**13.** ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, კედიას ქუჩა (ყოფ. კახოვსკი) №8–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – რეზო ნოდია).

**14.** ქ.თბილისში, ნაძალადევი რაიონში, ღრმაღელის ქუჩის გასასვლელი №8ა–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – დიანა დანელია).

**15.** ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა №295ა–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ნელი ქისტაური, თემურ სუჯაშვილი).

**16.** ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სააკაძის ქუჩა №93–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ალექსანდრე ახალაია).

**17.** ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №81.21.10.067) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – დავით რაზმაძე, ანდრო რთველაძე).

**18.** ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ზოვრეთის ქუჩა №3–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – თემური მალანია, გიორგი ლომიძე).

**19.** ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, კრონშტანტის (ცაგარელის) ქუჩა №72, ცაგარელის ქუჩა №70–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – გიორგი გამყრელიძე).

- არ არის მისაღები. გრგ–ს ფარგლებში განვითარდეს.
- არ არის მისაღები. მხოლოდ კვარტალურ დონეზე შესაძლებელია განვითარება გრგ–ს ფარგლებში.

უარი ეთქვას ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალმასიანის ქუჩა №7–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

13. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, კედიას ქუჩა (ყოფ. კახოვსკი) №8–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ჟენია ზაქარაშვილი. AR1333558.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=2,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1-0,7, კ2-4,2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. კ1=0,6 კ2=4,2
- მისაღებია. კ1=0,6 კ2=4,2
- მისაღებია. კ1=0,6 კ2=4,2
- მისაღებია. კ1=0,6 კ2=4,2
- მისაღებია. კ1=0,6 კ2=4,2
- მისაღებია. კ1=0,6.

მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, კედიას ქუჩა (ყოფ. კახოვსკი) №8–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,6, კ2=4,2.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის №7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის № 06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

საქმის წარმოების განყოფილება №3

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის უბნებში ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრების კორექტირებისა და ტექნიკური ხარვეზების გასწორებაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი ქუმსიშვილი

საბჭოს აღმასრულებელი მდივანი ნინო გვენცაძე

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 3784

"31" აგვისტო 2015 წ.

ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფ. კახოვკის) №8–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის“, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე მუხლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 13 აგვისტოს სხდომის №37 შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, კედიას ქ. (ყოფ. კახოვკის) №8–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,6, კ2=4,2.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, $12^2$-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014 წლის №7-49 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე. მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE88LB0125152101629260. 106000,80 ლარი.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მეუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საქმის წარმოების განყოფილება №3

დავით ნარმანია

# ზონალური საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №2059133

განაცხადი №AR1333558

თარიღი : 09.08.2015

განმცხადებელი: ჟენია ზაქარაშვილი პ/ნ: 01030020597

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა კედია (ყოფ.კახოვსკი), N8 ;

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

კომისიის წევრი: თანხმობა

- კ1=0,6 კ2=4,2

კომისიის წევრი: თანხმობა

- კ1=0,6 კ2=4,2

კომისიის წევრი: თანხმობა

- კ1=0,6 კ2=4,2

კომისიის წევრი: თანხმობა

- კ1=0,6.

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- კ1=0,6 კ2=4,2

კომისიის წევრი: თანხმობა

- კ1=0,6 კ2=4,2

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 13.08.2015

## კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

თანხმობა.

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
მერს ბ-ნ. ჯაჭა ჯაფარიძეს

შპს „ცალკე ლევანოვსკი"-ის
დირექტორის მიხეილ სხილაძის
მის. ამბროლაური, კველის №8
ს/ნ 402020184
551521435

# განცხადება

გთხოვთ, გადაგვინაზღაუროთ K-ზე მომსახურების თანხა 106008 ლ. ჩვენს მიერ წარმოებული მგზავრის მანქანით. AR 1640772

25 თებერვალი – 9637 ლ. 10 თ.
25 მარტი – 9637 ლ. 10 თ.
25 აპრილი – 9637 ლ. 10 თ.
25 მაისი – 9637 ლ. 10 თ.
25 ივნისი – 9637 ლ. 10 თ.
25 ივლისი – 9637 ლ. 10 თ.
25 აგვისტო – 9637 ლ. 10 თ.
25 სექტემბერი – 9637 ლ. 10 თ.
25 ოქტომბერი – 9637 ლ. 10 თ.
25 ნოემბერი – 9637 ლ. 10 თ.
25 დეკემბერი – 9637 ლ.

შპს „ცალკე ლევანოვსკი"-ის
დირექტორი მ. სხილაძე
21.01.2015წ.

დანართი

# განმარტებითი ბარათი

**ქ. თბილისში, [illegible] რაიონში, [illegible] N8 მშენებლობისთვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების, მოსაკრებლის განაკვეთის ანგარიშზე**

## განმარტება:

21.08.2015 წლის № 3784 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების (ქალაქმშენებლობითი) პირობების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე (მის.: [illegible] N8 ) მოქმედებს ფუნქციური ზონა სზ-6 , რომლისთვისაც განაშენიანების ინტენსივობის დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებელებია : კ-2= 4.2 .

ქ. თბილისის მერის 31.08.15 წ № 3784 განკარგულებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქთმშენებელობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა 4.2 , რა დროისთვისაც მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 1 კვ.მ-ზე განისაზღვრებოდა 145 ლარით.

## ფორმულა:

თანახმად „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის №7-41 გადაწყვეტილებისა, მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით

$$X = \frac{L}{K2}\left(K2' - (K2 + K2_{20\%})\right) \times S$$

სადაც **X** არის მოსაკრებლის ოდენობა; **L** არის 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი; **K2** არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; **K2’** არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; **S** არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართი. **$K2_{20\%}$** არის დადგენილი განაშენიანების ინტესივობის კოეფიციენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი მოსაკრებლის შეღავათი.

## ანგარიში:

$X = \frac{L}{K2}\left(K2' - (K2 + K2_{20\%})\right) \times S=$ $\frac{145}{2.5} \times (4.2 - (2.5 + 0.5) \times 1523 = 106{,}000.8$ ლ.

ფორმის ნიმუში